პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 198 (18740) | კვირა, 28 აგვისტო 1983 წელი | ფასი 3 კაპ.

28 აგვისტო მეშახტის დღეა

# სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

### სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „სახალხო მეურნეობაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების ღონისძიებათა შესახებ“

**დადგენილებაში** აღნიშნულია, რომ მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებისადმი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მუდმივი, შეუნელებელი ყურადღების მეშვეობით ჩვენმა ქვეყანამ ისტორიულად მოკლე დროში მიაღწია პროგრესის მოწინავე მიჯნებს.

სკკპ XXV და XXVI ყრილობებზე შემუშავებული საზოგადოებრივი წარმოების ინტენსიფიკაციის კურსის შესაბამისად არსებითად გაიზარდა სახალხო მეურნეობაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა გამოყენების მასშტაბი. ფართოვდება მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობა სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებთან.

ამასთან დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ქვეყანაში ამ მუშაობის ორგანიზაცია ჯერ კიდევ სრულად არ შეესაბამება პარტიის მიერ დასახულ ამოცანას, რომ საქმით შევაღწიოთო ჩვენი სოციალისტური წყობილების უპირატესობანი და მეცნიეულ-ტექნიკური რევოლუციის მიღწევები. ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალურ მნიშვნელობას იძენს იმის გამო, რომ მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარება სოციალისტური და კაპიტალისტური სისტემების შეჯიბრების ერთ-ერთი მთავარი მიმართულება გახდა.

დადგენილებაში ნათქვამია, რომ სსრ კავშირის სამინისტროები, უწყებები, მეცნიერებათა აკადემია და მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტი ჯეროვან სიმტკიცეს არ იჩენენ ერთიანი სამეცნიერო-ტექნიკური პოლიტიკის განხორციელებაში. ბევრ სამინისტროსა და უწყებაში, გაერთიანებასა და საწარმოში სათანადო პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან პროდუქციის წარმოების ტექნიკურ დონეს და ხარისხს, სუსტად იყენებენ აკადემიური და დარგობრივი ინსტიტუტებს, უმაღლესი სასწავლებლების ნამუშევრებს. ბევრი საწარმოს საცდელ-საწარმოო და ექსპერიმენტული ბაზა არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს.

მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტი სრულად არ იყენებს მისთვის მინიჭებულ უფლებას კოორდინაციისა და კონტროლს უწევდეს მეცნიერული კვლევის ორგანიზაციასა და წარმოებაში მისი შედეგების დანერგვას. სახსტანდარტი ჯეროვანი მოთხოვნელობით არ ეკიდება სამინისტროებსა და უწყებებს ნამუშევრების ხარისხისა და სტანდარტების მკაცრი დაცვისათვის, სუსტად უწევს ზედამხედველობას პროდუქციის ხარისხს.

საწარმოებისა და ორგანიზაციების სამეურნეო საქმიანობის შედეგების შეფასების არსებული სისტემა საკმარისად ეფექტიანად ვერ ახდენს გავლენას ახალი ტექნიკის, მასალებისა და ტექნოლოგიის შექმნის დაჩქარებაზე.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის მთელი მუშაობის ძირეული გაუმჯობესება. ამასთან საჭიროა მკაცრად ვიხელმძღვანელოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრისა და 1983 წლის ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებებით პრაქტიკაში მეცნიერების მიღწევების, ტექნიკისა და მოწინავე გამოცდილების ფართო და დაჩქარებული დანერგვის საფუძველზე შრომის ნაყოფიერების კარდინალური ამაღლების საკითხთა შესახებ.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა, სსრ კავშირის სახმეწინამ, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ, სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა ვალდებული არიან 1984 წლიდან გეგმებში გაითვალისწინონ ახალ სახეობათა მოწყობილობისა და მასალების წარმოების მომზადებისა და გაფართოებულ ბირთვთან ერთად შეიმუშაონ მისი განახლების (მოდერნიზაციის) ვადების დიფერენცირებული ნორმატივები. 1986 წლიდან სახელმწიფო ხუთწლიან და წლიურ გეგმებში ახალ სახეობათა მანქანების, მოწყობილობისა და ხელსაწყოების შექმნისა და წარმოების ათვისებისა და არსებულ სახეობათა მოდერნიზაციის დავალებანი, აგრეთვე წარმოებიდან მანქანათმშენებლობის მოძველებული პროდუქციის მოხსნის დავალებანი გახისაზღვრება აღნიშნული ნორმატივების საფუძველზე.

1984 წლიდან შემოღებული იქნება სამრეწველო პროდუქციის ატესტაცია ხარისხის ორი კატეგორიის — უმაღლესი და პირველი კატეგორიების მიხედვით. ნაწარმი, რომელიც არ იქნება ამ კატეგორიების შესაბამისი, წარმოებიდან მოიხსნება. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს ეძლევა უფლება გამონაკლისის სახით დაროს არაუმეტეს ორი წლის მანძილზე აღნიშნული პროდუქციის წარმოების ნება.

დადგენილებით დამტკიცებულია, რომ მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების გეგმებისა და დავალებების შესრულება მიეკუთვნება უმნიშვნელოვანეს მაჩვენებელთა რიცხვს, რომელთა მიხედვითაც უწონარეს ყოვლისა ფასდება გაერთიანებების (საწარმოების) სამეურნეო საქმიანობის შედეგები, აგრეთვე ჯამდება სოციალისტური შეჯიბრების შედეგები. ამ დავალებათა შეუსრულებლობის, აგრეთვე განახლების (მოდერნიზაციის) ნორმატიული ვადის გასვლის შემდეგ პროდუქციის გამოშვების შემთხვევაში სამეურნეო საქმიანობის ძირითადი შედეგებისათვის გაერთიანებების (საწარმოების) ხელმძღვანელ მუშაკებს პრემიები ეზღუდებათ სულ ცოტა 25 პროცენტით.

სსრ კავშირის ფასების სახელმწიფო კომიტეტს ეძლევა უფლება დაანწესოს წამახალისებელი დანამატები ახალი მაღალეფექტიანი პროდუქციის საბითუმო ფასების 30 პროცენტამდე ოდენობით და ჩამოკლება წარმოებიდან მოსახსნელი სამრეწველო პროდუქციის საბითუმო ფასების 30 პროცენტამდე ოდენობით.

სამინისტროებმა და უწყებებმა შეიძლება გამონაკლისის სახით საქვეუწყებო საწარმოებსა და ორგანიზაციებს ნება დართონ მოგების ანარიცხის ხარჯზე შექმნილი მატერიალური სტიმულირების ფონდების სახსრების ნაწილი გადაურიცხონ საერთო-საკავშირო სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამების შესრულებაში მონაწილე საწარმოებს. ორგანიზაციებსა და უმაღლეს სასწავლებლებს.

მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს მიეცა მითითება, რომ საჭიროა გააუმჯობესოს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის სამინისტროებისა და უწყებების საქმიანობისადმი სამეცნიერო-ორგანიზაციული და მეთოდიკური ხელმძღვანელობა. საერთო-საკავშირო სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამების შესაბამისად განხორციელებულ სამუშაოთა დამტკიცებითა დაფინანსებისათვის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის განკარგულებაში იქმნება სახსრების რეზერვი სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ერთიანი ფონდების ყოველწლიური ანარიცხების ხარჯზე.

დადგენილებაში ხაზგასმულია, რომ გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა სახელმწიფო კომიტეტმა უნდა გააძლიეროს საგამომგონებლო და რაციონალიზატორული საქმიანობისადმი ხელმძღვანელობა, სახალხო მეურნეობაში გამოგონებათა უსწორფესი დანერგვისადმი კონტროლი, გაამჯობესოს ახალი ტექნიკის დამუშავებელთა უზრუნველყოფა სპატენტო ინფორმაციით.

სახსტანდარტი ვალდებულია გაზარდოს მომთხოვნელობა სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებებისადმი ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის მომზადებისათვის, მისი პრაქტიკული გამოყენებისათვის, ხარისხის კატეგორიების მიხედვით პროდუქციის ატესტაციის ობექტურობისათვის, აგრეთვე განახორციელოს ტექნიკურ დოკუმენტაციის გაფორმებისა და შეთანხმების წესის სრულყოფისა და გამარტივების ღონისძიებანი.

სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელთა ყურადღება ეპყრობა იმას, რომ საჭიროა საერთაშორისო შეთანხმებათა საფუძველზე განსახორციელებელ პროექტთა დროული რეალიზაცია, მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების მიღწეულთა გამოყენებისათვის მუშაობის გაუმჯობესება.

საჭიროდაა მიჩნეული 1985-1987 წლებში განხორციელდეს სოფლის მეურნეობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, გეოლოგიისა და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების გადაყვანა ახალი ტექნიკის შექმნის, ათვისებისა და დანერგვის სამუშაოთა ორგანიზაციის სამეურნეო ანგარიშის სისტემაზე.

მაღალეფექტიანი ტექნიკის, ტექნოლოგიისა და ახალი მასალების შექმნისა და ათვისების მონაწილეთა მატერიალური დაინტერესების გაზრდის მიზნით 1985 წლიდან შემოღებულ იქნება სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების ერთდროული პრემიები 3-დან 40 ათას მანეთამდე ოდენობით თითოეული.

სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს მიეცათ უფლება დართონ ნება, რომ ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და სხვა სპეციალისტებს მისცენ პრემიები დადგენილი ზღვრული ოდენობის გადაჭარბებით: იმ ახალი ტექნიკის, პროგრესული ტექნოლოგიისა და მასალების შექმნისა და დანერგვისათვის, რომლებიც შეესაბამებიან თანამედროვე ტექნიკურ-ეკონომიკურ დონეს ან აღემატებიან მას; წარმოების საერთო მოცულობაში ახალი მაღალეფექტიანი პროდუქციის ხვედრითი წილის გადიდებისათვის.

განსაზღვრულია მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა პროპაგანდის გაძლიერების ღონისძიებანი პრესის, რადიოს, ტელევიზიის, კინოს, აგრეთვე მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა ფართო გამოყენებით.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ გამოთქვეს რწმენა, რომ სამეცნიერო-კვლევითი, საკონსტრუქტორო, საპროექტო, საპროექტო-საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური ორგანიზაციების, გაერთიანებებისა და საწარმოების მუშები და მოსამსახურეები, მეცნიერები და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები ყოველ ღონეს იხმარენ ქვეყნის სახალხო მეურნეობაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების პარტიის მიერ დასახულ ამოცანათა წარმატებით შესრულებისათვის.

# ტყიბულელთა სიმაღლეები

**ტყიბული** — რესპუბლიკის ქვანახშირის მრეწველობის ცენტრი, უკანასკნელ წლებში მთლიანად შეიცვალა, კეთილმოეწყო, აშენდა მაღლივი სახლები, გალამაზდა გზები, ქუჩები, სკვერები და ბაღები.

მომავალში სამთოელთა ქალაქი უკეთესი გახდება. მეთერთმეტე ხუთწლედში მარტო საბინაო მშენებლობას ათ მილიონობით მანეთი მოხმარდება. აშენდება და საექსპლოატაციოდ გადაეცემა 70 ათას კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართი. ეს იმას ნიშნავს, რომ ათასზე მეტი ოჯახი ახალმოსახლეობას იზეიმებს. მარტო წლეულს საექსპლოატაციოდ გადაეცემა 6 მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი. ოქტომბრის ქუჩაზე კი ამ დღეებში საფუძველი ჩაეყარა კიდევ ერთ ცხრასართულიან საცხოვრებელ სახლს. დიდძალი სახსრები მოხმარდება პროფტექნიკური სასწავლებლისა და ქალაქის სამედიცინო-სანიტარიული ნაწილის კომპლექსის მშენებლობას, ფრთები შეეხმება ტყიბულელთა ოცნებას და ქალაქის მაგისტრალურ ქუჩაზე დაიწყება ტროლეიბუსის ხაზის გაყვანა. ქალაქი უფრო გამწვანდება.

პარტიისა და მთავრობის ასეთ ზრუნვას აქაური მეშახტეები თავდადებული შრომით უპასუხებენ.

როგორც ყოველთვის, ამჯერადაც, შრომის ავანგარდშია ყველაზე მძლავრი და ძველი — ლენინის სახელობის შახტის კოლექტივი. იგი წლების მანძილზე იხარჯუნებს ფლაგმანის საპატიო სახელს, რესპუბლიკის ქვანახშირის მრეწველობის საწარმოთა შორის.

ლენინელ მეშახტეებს, — გვეუბნება შახტის მთავარი ინჟინერი, ახალგაზრდა სპეციალისტი გ. კაპანაძე, — მეტად რთულ სამთო-გეოლოგიურ პირობებში უხდებათ ქვანახშირის მოპოვება, მაგრამ სანგრევის მუშები, ინჟინერი-ტექნიკოსები წარმატებით ძლევენ სირთულეებს. შახტის ყველა საექსპლოატაციო უბანი, ცვლა და კომპლექსური ბრიგადა მაღალნაყოფიერი შრომის საუკეთესო მაგალითს იძლევა.

ჩემი თანამესაუბრე სიამაყით მაწვდის ეკონომიკური მაჩვენებლების აღრიცხვის ჟურნალს, მაცნობს მუშაობის შედეგებს. სასიამოვნო ციფრებია: მოწინავე შახტმა ხუთწლედის პირველ ნახევარში რესპუბლიკის ინდუსტრიის გეგმის გადამეტებით 50 ათას ტონამდე საკოქსე ქვანახშირი გაუგზავნა.

აი, მთავარი ინჟინრის კაბინეტში პატაკი შემოაქვს შახტის საგეგმო განყოფილების ეკონომისტს ნელი მაღლაფრიიქე. იგი იტყობინება, რომ კოლექტივმა აგვისტოს ანგარიშში უკანასკნელი ტონა ქვანახშირი ამოიღო. ეს იმის ნიშნავს, რომ მიმდინარე წლის რვა თვის სახელმწიფო დავალება ვადაზე 12 დღით ადრე შესრულდა. შახტის ბუნკერში უკვე ჩაიყარა 20.300 ტონა ზეგეგმითი საობობი. გეგმით გათვალისწინებული 7889700 მანეთის ნაცვლად შახტმა 8193100 მანეთის პროდუქცია გამოუშვა. თითოეული მუშის შრომის ნაყოფიერება 5,9 პროცენტით გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ ამასთან ერთად გაუმჯობესდა ქვანახშირის ხარისხი და შემცირდა მისი თვითღირებულება. ახლა ტონა ქვანახშირი საწარმოს 20 კაპიკით იაფი უჯდება. მარტო ამ გზით იანვარ-ივლისში 70 ათასი მანეთი დაიზოგა.

ეს შრომითი გამარჯვება თავადადებული შრომით მოიპოვეს. ყველა მიწისქვეშა სანგრევში დიდი ორგანიზატორულ-ტექნიკური ღონისძიებები განხორციელდა იმისათვის, რომ შახტი მოწინავეთა რიგებში ჩამდგარიყო. განახლდა სამახტო ტრანსპორტი, იგი მთლიანად მექანიზებული გახდა. მიწისქვეშა სავაგონო პარკს ბოლო ხანებში ბევრი ახალი რონოდა შეემატა, კაპიტალური სამთო გამოსამუშავრებში დაიგო ახალი რკინიგზის ლიანდაგი. ბევრ სამთო ჰორიზონტზე შეიცვალა ქვანახშირის მომხვეტელი კონვეიერი. ამან კი დაჩქარა ლავებიდან ქვანახშირის გამოტანა.

ლენინის სახელობის შახტის სანგრევებში და სამთო ჰორიზონტებზე ბევრი სახელგანთქმული მეშახტე მუშაობს. მათ შორის გახლავთ სკკპ XXIV ყრილობის დელეგატი, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი სპირიდონ ბირკაია. მეთხუთე საუკუნეა, რაც სპირიდონი მიწისქვეშ შრომობს. ამ ხნის მანძილზე მან წარმატებით შეისწავლა მეშახტის ყველა პროფესია. იგი წლების მანძილზე გვირაბგამყვანად მუშაობდა, ახლა კი მეშახტეთა კომპლექსურ ბრიგადას ხელმძღვანელობს და თავგამოდებით იბრძვის მეტი საკოქსე ქვანახშირის ამოღებისათვის. შეიდ თვეში მოწინავე ბრიგადის კოლექტივმა დავალება 236 პროცენტით შეასრულა. კიდევ უფრო თვალსაჩინო წარმატებას აღწევენ იგი აგვისტოში. გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთვის ღირსეული შეზეიმებისთვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ კადრის მეშახტეები მ. ვარდოსანიძე, გ. ციცქიშვილი, დ. შარვაძე, ს. მანაგაძე, ა. ფანჩულიძე, გ. ვარდოსანიძე, ნ. კუპრაშვილი, გ. რიჟამაძე და სხვები. მათს შრომით კალენდარზე ახლა 1984 წლის იანვარია.

ორჯონიკიძის სახელობის შახტში მრავალი ასეული მეშახტე იბრძოდა ტრადიციული დღესასწაულის ღირსეული შეხვედრისათვის. ისინი შრომითს ვახტზე იდგნენ და ახალ წარმატებებს აღწევდნენ. შედეგიც დიდი გახლავთ. შახტის კოლექტივი, დიდი სიძნელეების მიუხედავად, ასრულებს ქვანახშირის ამოღების სადღეღამისო დავალებას. რატმული მუშაობის დანერგვამ ხელი შეუწყო უკანასკნელ ხანს განხორციელებულმა ღონისძიებებმა, გამმტკიცდა შრომის დისციპლინა, მეტი ყურადღება ექცევა საწმენდ სანგრევში დასაქმებულთა სამუშაოთი უზრუნველყოფას, შრომის მოწინავე მეთოდების დანერგვას.

მიუხედავად მოპოვებული წარმატებებისა, ტყიბულის ქვანახშირის შახტების მუშაობაში ბევრი ნაკლია და ეს მათ სრულიად არ აძლევს თვითდამშვიდების უფლებას, საკმარისია აღინიშნოს, რომ გაერთიანების ერთ-ერთ წამყვან საწარმოს — სტალინის სახელობის შახტს თავისი არსებობის ბოლო შვიდი წლის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ — 1976 წელს აქვს შესრულებული საწარმოო გეგმა. აღნიშნულმა საწარმომ, და „აღმოსავლეთ-2“ შახტმა მიმდინარე წლის 7 თვეში მომმხარებელს 49 ათასი ტონა ქვანახშირი დააკლეს. ამ ორი შახტის ასეთი სამარცხვინო ჩამორჩენა იმით არის გამოწვეული, რომ „საქქვანახშირის“ გაერთიანების ადგილობრივი პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელები დღემდე დამაკმაყოფილებლად არ ხელმძღვანელობენ მათს მუშაობას, არსებითად არ სწავლობენ ჩამორჩენის მიზეზებს. ტყიბულელთა წინაშე დგას გადაუდებელი ამოცანა — უახლოეს დროში გამოასწორონ სერიოზული ნაკლოვანებები.

**ვ. ციბრაკიძე,**
„კომუნისტის“ საკ. კორ.

**სურათზე: ტყიბულის ვ. ი. ლენინის სახელობის შახტის კომუნისტური შრომის ბრიგადა (მარცხნიდან): იოსელ ბუცხრაიძე, ბეჟან ბოჭორიშვილი, ზაურ ჭიჭინაძე, ბრიგადირი გაიოზ ციცქიშვილი და ჯონდო ჩაფიძე.**

**გ. ბერსამიას ფოტო**

# პოზიცია—პატიოსანი და თანამიმდევრული, მიდგომა—კონსტრუქციული და მოქნილი

### საქართველოს მშრომელთა გამოსვლა „პრავდის“ კითხვებზე ი. ვ. ანდროპოვის პასუხის გამო

**საქართველოს მშრომელები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, ერთსულოვნად იწონებენ და მთლიანად უჭერენ მხარს საბჭოთა მთავრობის მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას, რომელიც ჩამოყალიბებულია გაზეთ „პრავდის“ კითხვებზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ი. ვ. ანდროპოვის პასუხში.**

## კეთილი ნების გამოხატულება

**ჩვენი** სახელმწიფოს კეთილი ნების კიდევ ერთ გამოხატულებად მიმაჩნია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ი. ვ. ანდროპოვის პასუხი „პრავდის“ კორესპონდენტის კითხვებზე.

პასუხში ჩამოყალიბებულია საბჭოთა კავშირის ცხადი და არაორაზროვანი პოზიცია ევროპაში ბირთვული შეიარაღების შემცირების საკითხებზე. პოლიტიკაში ჩაუბედავი ადამიანებისათვისაც კი ცხადია ასეთი პოზიციის თანამიმდევრულობა და მოქნილობა. მე მეფოლადე ვარ და მის მოქნილობას ფოლადის ფირფიტის მოქნილობას შევადარებდი. მაგრამ, როგორც ცნობილია, მასაც თავისი ზღვარი აქვს. ბუნებრივია, ჩვენ „არ გადავზნიქავთ ფირფიტას“ ჩვენი სამშობლოსა და მისი მოკავშირეების უშიშროების საზიანოდ. პატივი მერგო ქვეყნის სახელმწიფოს ხელისუფლების უმაღლესი ორგანოში ვწარმმადგენლობდე საქართველოს მუშათა კლასს, რომელიც მთლიანად უჭერს მხარს ამ პოზიციას, ამასთან გამოთქვამთ იმედს, რომ ევროპის მოლაპარაკებზე ამერიკის მხარე გამოიჩენს საკმარის საღ აზრს, რათა გამოეხმაუროს საბჭოთა კავშირის ახალ მშვიდობისმოყვარულ ინიციატივებს, რადგან სხვა გამოსავალი არ არის!

მოლაპარაკების წარმატებაზე დამოკიდებულია არა მარტო სიმშვიდე ევროპაში, არამედ მთელ პლანეტაზე მშვიდობის ბედიც. და ეს დიდმნიშვნელოვანი საკითხი უნდა გადაწყვიტოთ კონსტრუქციულად, რეალური მიდგომით და არა ამერიკის შეერთებულ შტატებში წინასაარჩევნო კამპანიის კონიუნქტურული მოსაზრებების შესაბამისად.

ჩემი კოლეგების სახელით მინდა განვაცხადო, რომ მუდამ შეშფოთებით ვეკიდებოდით საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ურთიერთობაში დაძაბულობას. ამ ურთიერთობაში დასახული პროგრესი გვაძლევს იმედს, რომ ჩვენი სახელმწიფოები გამოსახავენ საერთო ენას, რაც როგორც ამხანაგმა ი. ვ. ანდროპოვმა აღნიშნა, სარგებლობას მოუტანს ჩვენს ქვეყნებსაც და მთელ საერთაშორისო ვითარებასაც.

**ოთარ ლომიძე,**
**რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მეფოლადე, სოციალისტური შრომის გმირი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.**

## ქვეყნად მშვიდობისათვის

**დიდი** ყურადღებით გავეცანი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ი. ვ. ანდროპოვის პასუხს გაზეთ „პრავდის“ კორესპონდენტის კითხვებზე. მასში ამომწურავადაა განაზოგადებული სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკების მდგომარეობა, ღრმადაა დასაბუთებული საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარული პოზიცია.

ქვეყნად მშვიდობისათვის, პლანეტის, ყველა ხალხის ბედნიერებისათვის ჩვენი ქვეყანა ახორციელებს ლენინურ საგარეო პოლიტიკას, რომლის მთავარი დებულება დღევანდელ ეტაპზე არის ბირთვული ომის საშიშროების თავიდან აცილება. ეს აზრი მკაფიოდ და ცხადად ჩამოაყალიბა ამერიკელ სენატორთა ჯგუფთან ამას წინათ გამართული საუბრის დროს ამხანაგმა ი. ვ. ანდროპოვმა და კიდევ ერთხელ დაადასტურა თავის პასუხში „პრავდის“ კითხვებზე. მაგრამ დასავლეთის იმპერიალისტური წრეები ამახინჯებენ ჩვენს საგარეო პოლიტიკას, სურთ შეული დათესონ ხალხებს შორის, გამოიწვიონ ახალი საყოველთაო კონფლიქტი. ჩვენი დიადი ქვეყნის სახელით საბჭოთა ხელმძღვანელმა საკადრისი პასუხი გასცა მილიტარისტებს.

საბჭოთა ადამიანებმა კარგად იციან, რა არის ომი. არ არის ალბათ ოჯახი, მას მტკივნეული ჭრილობა რომ არ მიეყენებინოს. მრისხანე 1941 წელს დაიოცა მამაჩემი — ლიტერატორი, ფილოსოფოსი, ისტორიკოსი ვლადიმერ ბოტკოველი, რომელიც მოხალისედ წავიდა ფრონტზე. მშვიდობიანი პროფესიის ადამიანმა ახალგაზრდა სიცოცხლე შესწირა იმას, რომ დღეს ეფრუბლო ზეცა დაგვაყურებდეს.

ჩემი სამშობლოს გამო ხშირად მიხდება საზღვარგარეთ მოგზაურობა. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, საბერძნეთში, ფინეთში, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში, გაწაში ჩემი პერსონალური გამოფენების დროს, აგრეთვე საქართველოს კულტურის მოღვაწეთა დელეგაციების წევრად სხვა ქვეყნებში ყოფნისას მუდამ ვგრძნობდი უბრალო ადამიანების შეუნელებელ ინტერესს ჩვენი დიადი ქვეყნისადმი, მისი მდიდარი ისტორიისადმი, ღრმა პატივისცემასა და სიმპათიას ჩვენდამი, საბჭოეთის, ქვეყნად პირველი სოციალისტური სახელმწიფოს წარმომადგენლებისადმი. მთლიანად ვიწონებთ ჩვენი სახელმწიფოს ნათელ და მკაფიო პოზიციას, რომელიც ამხანაგმა ი. ვ. ანდროპოვმა ჩამოაყალიბა თავის პასუხში. ეს პოზიცია უზრუნველყოფს ჩვენი ხალხის მშვიდობიან ცხოვრებას.

**ნანა ბოტკოველი,**
**საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი.**
(საქინფორმი).

# პროფკავშირები მხარს უჭერენ განიარაღებას

**თანამედროვეობის** ყველაზე აქტუალური პრობლემა — განიარაღების პრობლემა დგას მსოფლიო პროფკავშირული კონფერენციის დღის წესრიგში. იგი გაიხსნა 27 აგვისტოს მოსკოვში კავშირების სახლის სვეტბიან დარბაზში. კონფერენციის დელეგატები ყველა კონტინენტის ათობით ქვეყნიდან, რომლებიც წარმოადგენენ მაღაროელების, მეშავთობეების, ენერგეტიკოსების პროფკავშირებს, განიხილავენ მრეწველობის ენერგეტიკულ დარგებში განიარაღების სოციალურ-ეკონომიკურ ასპექტებს.

კონფერენციის გახსნაზე გამოსვლისას საკავშირო პროფსაბჭოს მდივანმა ა. მ. სუბოტინმა დელეგატებს ყურადღება მიაპყრო სსრ კავშირის ახალ, განსაკუთრებით მნიშვნელოვან ინიციატივას იმის შესახებ, რომ სსრ კავშირი მზად არის გადადგას კიდევ ერთი დიდი ნაბიჯი განიარაღების დარგში, რის შესახებაც საფუძვლიანად არის ნათქვამი გაზეთ „პრავდის“ შეკითხვებზე ი. ვ. ანდროპოვის პასუხში. ხაზგასმით აღინიშნა, რომ საბჭოთა კავშირის პროფკავშირები მზარს უჭერენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მშვიდობისმოყვარულ საგარეო-პოლიტიკურ კურსს, ისინი ღრმად არიან დარწმუნებული, რომ ეს არის ყველაზე სწორი გზა, რომელიც კაცობრიობას აძლევს რეალურ შესაძლებლობას იხსნას პლანეტა ბირთვული კატასტროფისაგან.

(საკადესი).

**პარტიული ცხოვრება: მიმდინარეობს ანგარიშგება-არჩევნები**

# ჯრიტიკას კონკრეტული მისამართები აქვს

**ახალგაზრდობა** ხალისით არ მოდის ჩვენთან სამუშაოდ, — ასეთი იყო გულისტკივილი კომუნისტ გ. საჩალელისა, რომელმაც საუბნო პარტორგანიზაციის მდივნის თ. მეტრეველის მოხსენების შემდეგ ერთ-ერთმა პირველმა მოითხოვა სიტყვა.

ახალგაზრდებში კომუნისტური მოწმასის და მორალის ჩამოყალიბების, საზოგადოებრივ საქმიანობაში მათი აქტიური ჩაბმის პრობლემები, დიახაც, პირველადი პარტიული ორგანიზაციების სისხლხორცეული საქმეა, და მით უმეტეს პირველი მოკამათის გამოსვლაც ამ საკითხის ირგვლივ მწვავე დისპუტის დაწყების მომასწავებელი უნდა გამხდარიყო.

სამწუხაროდ, თავდაპირველად დღევანდელი სოფლისათვის ამ მტკივნეულ საკითხს ზოგი დუმილით შეხვდა, მაგრამ აი, რუსეთიდან აბრამიშვილი დროზე ჩაერია კამათში:

— ჩვენი კოლმეურნეობა, — თქვა მან, — რესპუბლიკის ერთ-ერთი უძველესი და მსხვილი საზოგადოებრივი მეურნეობაა, მის ბაღ-ბოსტანსა და ზვრებში ბევრი ნოვატორი და ახალგაზრდობის დამრიგებელი შრომობს. წინმზირალნი — ასე უწოდებს ხალხი იმათ, ვინც დგას კეთილი, სასარგებლო საქმეების სათავეებთან, იჩენს ინიციატივას, სძლევს ზღუდეებს, სიუხვისა და ბარაქის მისაღწევად აგულიანებს თანამოსაქმეებს.

კახპის რაიონის ქვემო ჭალის კოლმეურნეობის № 1 აგროუბნის პარტიულ ორგანიზაციაშიც ბევრი ასეთი წინმზირალია და კოლმეურნეობის საუბნო პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე, რომელიც ამ დღეებში გაიმართა, მათი სახელები დარბაზში შეკრებილებმა მოწიწებით და სიყვარულით ახსენეს.

მაგრამ ამას და კოლმეურნეობაში სხვა მრავალ თვალსაჩინო მიღწევას ხელი არ შეუშლია რუსეთიდან აბრამიშვილისათვის, სხვა მისი თანამოაზრე კომუნისტებისთვის, რომ პრინციპული და შეურიგებელი პოზიცია დაეკავებინათ იმათ მიმართ, ვისაც საკოლმეურნეო მინდორში შრომა მეორეხარისხოვან საქმედ მიაჩნია, ვინც ცდილობს თავის ვიწრო, პირად მიზნებს მთელი კოლექტივის ინტერესები დაუმორჩილოს.

დიახ, ახალგაზრდობის ერთი ნაწილი თავს არიდებს საზოგადოებრივ შრომას. არსებობს კი საამისო სოციალურ-ეკონომიკური მიზეზები? დავიწყოთ, თუნდაც იმ ყოფა-ცხოვრებითი სიკეთეებით, ქვემოპალელებს რომ აქვთ. სოფელში არის კულტურის სახლის ისეთი შენობა, რესპუბლიკის ნებისმიერ ქალაქს რომ დაამშვენებს. ზეზი მოსაფალტებელია, კოლმეურნეთა ოჯახებში კარგა ხანია აქვთ გაზი, ტელევიზორები, სასოფლო ბიბლიოთეკის წიგნთსაცავში ათასობით ტომია. ერთი სიტყვით, არის ახალგაზრდობის სოფლად დამკვიდრების, შრომის, დასვენებისა და გართობის კარგი პირობები. მაშ, რა ხდება?

— ის, — გაისმა ტრიბუნიდან, — რომ ჩვენ, კომუნისტები, შრომის ვეტერანები და დამრიგებლები, ჯერ კიდევ ვერ ვმუშაობთ ახალგაზრდებთან იმ სულიერ-ესთეტიკურ, რომელიც პარტიის ვეტერანებთან შეხვედრისას ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის სიტყვაში გამოიკვეთა. განსაკუთრებული ყურადღება გვმართებს, რომ ჩვენ, კომუნისტებმა წარმატებით განვახორციელოთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელი დადგენილება, რომელიც, 1983 წლის ივნისის პლენუმის მოთხოვნათა შესაბამისად, კომავშირისადმი ხელმძღვანელობის, ახალგაზრდობის აღზრდის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფისათვის გაწეული მუშაობის შესახებ პარტიის ხაშურის რაიკომის ანგარიშის გამო არის მიღებული.

# ჯრიტიკას კონკრეტული მისამართები აქვს

ერთი უძველესი და მსხვილი საზოგადოებრივი მეურნეობაა, მის ბაღ-ბოსტანსა და ზვრებში ბევრი ნოვატორი და ახალგაზრდობის დამრიგებელი შრომობს. წინმზირალნი — ასე უწოდებს ხალხი იმათ, ვინც დგას კეთილი, სასარგებლო საქმეების სათავეებთან, იჩენს ინიციატივას, სძლევს ზღუდეებს, სიუხვისა და ბარაქის მისაღწევად აგულიანებს თანამოსაქმეებს.

კახპის რაიონის ქვემო ჭალის კოლმეურნეობის № 1 აგროუბნის პარტიულ ორგანიზაციაშიც ბევრი ასეთი წინმზირალია და კოლმეურნეობის საუბნო პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე, რომელიც ამ დღეებში გაიმართა, მათი სახელები დარბაზში შეკრებილებმა მოწიწებით და სიყვარულით ახსენეს.

მაგრამ ამას და კოლმეურნეობაში სხვა მრავალ თვალსაჩინო მიღწევას ხელი არ შეუშლია რუსეთიდან აბრამიშვილისათვის, სხვა მისი თანამოაზრე კომუნისტებისთვის, რომ პრინციპული და შეურიგებელი პოზიცია დაეკავებინათ იმათ მიმართ, ვისაც საკოლმეურნეო მინდორში შრომა მეორეხარისხოვან საქმედ მიაჩნია, ვინც ცდილობს თავის ვიწრო, პირად მიზნებს მთელი კოლექტივის ინტერესები დაუმორჩილოს.

დიახ, ახალგაზრდობის ერთი ნაწილი თავს არიდებს საზოგადოებრივ შრომას. არსებობს კი საამისო სოციალურ-ეკონომიკური მიზეზები? დავიწყოთ, თუნდაც თუმცა კულტურის სახლი გვაქვს, მაგრამ უღიმღამოა მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივების მუშაობა, იშვიათად თუ გაიღება ხოლმე კინოდარბაზის კარი, ხშირად ვეება ბოქლომი ადევს სასოფლო ბიბლიოთეკასაც.

რატომ ხდება ასე, რატომ პასუხს არ აგებს თითოეული ჩვენგანი მინდობილი უბნისათვის? და პარტიულ კრებაზე ასეთი ფაქტების განხილვა-განსჯამ თითქოს ჯაჭვური რეაქცია გამოიწვია, შრომისა და საშემსრულებლო დისციპლინის საკითხები წარმოაჩინა.

— დისციპლინა მართლაც მოისუსტებს, — ასეთი იყო კომუნისტთა საერთო აზრი, როცა კრებაზე მომთხოვნელობის შესუსტების, შესრულების შემოწმების და კონტროლის ნაკლოვანებანი გააანალიზეს. შარშან აგროუბნის 148 შრომისუნარიანი წევრიდან საკოლმეურნეო შრომაში მონაწილეობა არ მიიღო 21 კაცმა. წაუყრუეს. მიმდინარე წლის შვიდ თვეში ჯერ-ჯერობით სამუშაოდ არ გამოსულა 16 კაცი. ახლა კი ხმამაღლა და მკაცრად ითქვა ეს. ყოველი გაცდენილი კაცდღე დაკარგული მოსავალია. თვითონ გასაჯეთ, მარტო წლევანდელი დაკარგულები 20 ათასი მანეთის დაკარგული პროდუქციის ტოლფასია.

უკანასკნელი ორი წლის მანძილზე სოფელს ზედიზედ დაატყდა თავს სტიქიური უბედურება — კოკისპირული წვიმები, სეტყვა, ქარიშხალი... წაიყინა ვაზი, დაზიანდა ხეხილი, განადგურდა დიდძალი ნათესი. მაგრამ ამის მიუხედავად აგროუბნის პარტიულმა ორგანიზაციამ გადამჭრელი ღონისძიებები განახორციელა, რათა მაქსიმალურად შეენარჩუნებინათ ის, რაც სტიქიას გადაურჩა. ძალებს სრული მობილიზაციის შედეგად შესრულდა, თანაც გადაჭარბებით, მარცვლეულს, ჩაქრის ჭარხლისა და ბოსტნეულის მოსავლის გეგმები, გათვალისწინებულზე მეტი მიიღეს ათასობით მანეთის სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია.

აგროუბნის მშრომელები იმედოვნებენ, რომ წლეულს კიდევ უთრო ხელშესახები წარმატებები იქნებათ და ამის უპირველეს გარანტიას სასურსათო პროგრამის განხორციელების ისეთ ეფექტიან ფორმებში ხედავენ, როგორიცაა მოსახლეობასთან კოოპერირება.

საუბნო პარტიული ორგანიზაცია აქტიურად უჭერს მხარს ამ ურთიერთსასყიდელ სიახლეს. კოლმეურნეებმა გაპირობენეს ხახვისა და ლობიოს ფართობები, ზრდიან ღორს, ფრინველს, საქონელს.

ორატორებმა ქმაყოფილებით აღნიშნეს ის დამაიმედებელი ძვრები, რომლებიც კოლმეურნეობის ეკონომიკის განმტკიცებაში შეინიშნება, და რასაც მიზნად ისახავს უბნის პარტორგანიზაციის, კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის, გამგეობის მთელი მეცადინეობა.

მით უფრო საჭირო და გადაუდებელია, ითქვა საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე, რომ აგროუბნის, კოლმეურნეობის შრომელთა საქმიანობას, მათს თანშემდევრულ ბრძოლას ყველა რგოლში წესრიგისა და დისციპლინის განმტკიცებისათვის აქტიურად ეხმიანებოდნენ ის ორგანიზაციები, რომლებიც უშუალოდ აგებენ პასუხს სოფლად სასურსათო და პირველი მოთხოვნილების პროდუქტების დროულად და შეუფერხებლად შემოზიდვის, სამგზარო ტრანსპორტის მომსახურების მოწესრიგების, შშრომელთა კულტურული, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისათვის.

შენიშვნებს, რომლებიც საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე გამოითქვა, თავისი ადრესატები ჰყავს ესპის რაიონის პოტკომბინატის, სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საწარმოს, საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს, რაიკავშირის, კულტურის განყოფილების სახით. ზოგიერთ შენიშვნას კი თავად კოლმეურნეობის გამგეობამ უნდა გასცეს პასუხი. თუნდაც, მაგალითად, დღემდე რატომ ირღვევა საფინანსო დისციპლინა, რატომ ხდება, რომ შრომელები ხელფასს ხშირად დიდი დაგვიანებით ღებულობენ? ასეთ ფაქტებს მკაცრი შეფასება უნდა მიეცეს.

საქმიანი და პრინციპული სულისკვეთება, რომელიც თან ახლდა ქვემო ჭალის კოლმეურნეობის № 1 უბნის პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებას, უეჭველია, აქაური შრომელების სამეურნეო საქმიანობაში ბოვებს კონკრეტულ გამოძახილს.

უბნის პარტორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ჯ. პატიაშვილმა.

**გ. ვაშაკიძე,**
**„კომუნისტის“ საკ. კორ.**

# ᲓᲘᲡᲪᲘᲞᲚᲘᲜᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲡᲐᲥᲠᲣᲜᲐᲕᲘᲐ

**ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ, ᲡᲝᲤᲔᲚᲘ ᲭᲘᲚᲔᲚᲘᲐᲜᲘ; ᲘᲛᲘᲗᲐᲪᲐ ᲘᲢᲧᲕᲘᲐᲜ ᲮᲝᲚᲛᲘ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲮᲐᲮᲘᲐᲜᲘᲐᲜᲘ. ᲪᲮᲝᲚᲝᲓᲐ, ᲔᲡ ᲒᲝᲜᲘᲠᲘᲐ ᲮᲐᲮᲘᲐᲜᲘᲐ. ᲘᲛᲓᲔᲜᲘᲡ ᲙᲐᲪᲘᲪ ᲐᲠᲘᲡ, ᲘᲛᲓᲔᲜᲘᲡ ᲮᲐᲮᲘᲐᲜᲘᲐ. ᲛᲐᲨᲘᲜ ᲓᲐᲒᲚᲐᲕᲗ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲓᲐᲒᲚᲐᲕᲗ ᲓᲐᲒᲚᲐᲕᲗ ᲓᲐᲒᲚᲐᲕᲗ

# ᲛᲔᲪᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘ

„ᲑᲔᲚᲘᲗ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲕᲐᲒᲝᲜᲗᲛᲔᲛᲐᲜᲘᲡ ᲭᲘᲗᲔᲑᲔᲚᲘ ᲭᲐᲠᲘᲡᲜᲘᲡ ᲡᲐᲐᲢᲝᲠᲘ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲨᲘ“, ᲔᲬᲠᲐ ᲡᲐᲒᲝᲜᲘᲢᲝᲠ ᲑᲐᲠᲐᲗᲘᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲛ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲓᲦᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲛᲘᲘᲦᲘᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲠᲐᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲤᲠᲝᲜᲢᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲝᲐᲗᲐᲡᲘᲐᲜᲘ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲠᲩᲔᲣᲚᲛᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲛᲐ, ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚ-ᲞᲠᲝᲤᲡᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲣᲚᲛᲐ ᲛᲣᲨᲐᲙᲔᲑᲛᲐ, ᲠᲐᲝᲜᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲚᲘ�გᲔᲜᲪᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲛᲐ. ᲐᲛ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲨᲘ, ᲐᲒᲖᲘᲡᲢᲘᲡ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲘᲗ ᲓᲘᲓ ᲞᲔᲓᲡᲐᲑᲭᲝᲖᲔ ᲛᲐᲗ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲜᲘᲮᲚᲐᲗ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲣᲬᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲦᲠᲓᲘᲡ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲔᲡᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ, ᲠᲐᲗᲐ ᲛᲝᲠᲔᲛᲐᲓᲒᲘᲜᲔᲑᲘᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲝᲫᲐᲮᲘᲡ ᲓᲔᲡᲘᲐᲜᲘ. ᲠᲝᲓᲘᲡ ᲛᲘᲜᲓᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲘᲧᲝᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲔᲠᲘᲡᲐ“.

ᲐᲒᲘᲡᲢᲝᲡ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲘᲡ — ᲓᲘᲓᲘ ᲞᲔᲓᲐ�გᲝ�გᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲑᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲨᲘ ᲘᲧᲝ 1983 ᲬᲚᲘᲡ ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡ, ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲕᲘᲗ ᲡᲙᲐᲜ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ ᲒᲘᲠᲩᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘ Თ. Ა. ᲓᲦᲔᲚᲘᲪᲘᲡ ᲛᲘᲣᲗᲘᲗᲔᲑᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲘᲗ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ ᲨᲔᲛᲣᲨᲐᲕᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲔᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲝᲐᲗᲐᲡᲘᲐᲜᲘ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲠᲩᲔᲣᲚᲛᲐ ᲛᲣᲨᲐᲙᲔᲑᲛᲐ, ᲠᲐᲝᲜᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲚᲘ�გᲔᲜᲪᲘᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲑᲣᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲘᲮᲚᲕᲘᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲚᲗᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲠᲔᲗ — ᲨᲔᲜᲘ ᲔᲠᲘᲡᲐ“.

ᲐᲒᲘᲡᲢᲝᲡ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲘᲡ — ᲓᲘᲓᲘ ᲞᲔᲓᲐ�გᲝ�გᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲑᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲨᲘ ᲘᲧᲝ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ 1983 ᲬᲚᲘᲡ ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡ, ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲓᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲕᲘᲗ ᲡᲙᲐᲜ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ ᲒᲘᲠᲩᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘ ᲛᲔᲗᲝᲓᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲑᲭᲝᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲛᲝᲖᲐᲠᲓᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡ ᲠᲔᲟᲘᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ. ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲓᲜᲔᲜ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲠᲗᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲒᲠᲔᲚᲘ Დ. ᲤᲕᲐᲨᲘᲐᲜᲘ. ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲓᲜᲔᲜ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲒᲘᲠᲩᲘᲡ ᲛᲘᲛᲬᲝᲓᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲡᲐᲡᲐᲣᲑᲠᲔᲑᲘ ᲒᲐᲜᲘᲮᲚᲐᲗ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲘᲗ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ ᲨᲔᲛᲣᲨᲐᲕᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲑᲭᲝᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲛᲝᲖᲐᲠᲓᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡ ᲠᲔᲟᲘᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲠᲔᲗ ᲨᲔᲜᲘ ᲔᲠᲘᲡᲐ“.

ᲠᲐᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲒᲚᲘᲗ ᲠᲐᲝᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔ Რ. ᲒᲣᲠᲒᲔᲜᲘᲫᲘᲡ ᲛᲝᲮᲡᲜᲔᲑᲐ ᲒᲐᲜᲒᲚᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲨᲕᲔᲚᲝᲑᲘᲗ ᲨᲔᲓᲒᲔᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲔᲓᲐᲒᲝ�გᲘᲣᲠᲘ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲛᲘᲘᲦᲝᲡ ᲐᲮᲐᲚ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲑᲭᲝᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ. ᲠᲐᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲔᲓᲐᲒᲝ�გᲘᲣᲠᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ Ⲛ. ᲙᲐᲞᲐᲜᲐᲫᲔ, ᲛᲔ-7 ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡ Თ. ᲮᲐᲒᲘᲨᲕᲘᲚᲘ, 164-Ე ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡ Ⲛ. ᲒᲘᲠᲩᲘᲡ ᲛᲨᲕᲔᲚᲝᲑᲘᲗ, 148-Ე ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ [illegible] ᲣᲙᲘ, ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜ ᲡᲐᲛᲘᲗᲝᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲖᲦᲕᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘ Ⲛ. ᲠᲐᲛᲐᲜᲘᲫᲔ.

ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲠᲐᲝᲜᲘᲡ ᲞᲔᲓᲐᲒᲝ�გᲘᲡᲐ ᲡᲙᲐ-ᲑᲐᲐᲡᲘ ᲨᲔᲐᲯᲐᲛᲐ ᲡᲐᲮᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲗᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲗᲐᲛᲐᲯᲗᲐᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲬᲧᲝᲓ ᲒᲘᲠᲩᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲒᲔᲑᲚᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲒᲐᲜᲘᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ ᲨᲔᲛᲣᲨᲐᲕᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲑᲭᲝᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲛᲝᲖᲐᲠᲓᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡ ᲠᲔᲟᲘᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲠᲔᲗ ᲨᲔᲜᲘ ᲔᲠᲘᲡᲐ“.

ᲠᲐᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲔᲓᲐᲒᲝ�გᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲠᲐᲝᲜᲘᲡ ᲞᲔᲓᲐᲒᲝ�გᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲘᲛᲬᲝᲓᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲡᲬᲠᲔᲑᲚᲝᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠᲘ, ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲤᲠᲐᲜᲒᲣᲚᲘ ᲕᲐᲚᲣᲢᲐ. ᲡᲐᲙᲝᲛᲐᲜᲓᲝ-ᲒᲐᲡᲐᲮᲛᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲡᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲡᲐᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲝ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲮᲔᲚᲘ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲡᲐᲒᲐᲜᲗᲚᲘᲡ ᲛᲝᲠᲘᲜᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲗᲕᲐᲚᲡᲐᲩᲘᲜᲝ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ



**როგორც მკითხველებმა იციან, წლეულს აღინიშნება ბულგარეთში ქართველთა მონასტრის — პეტრიწონის დაარსების 900 წელი. ამ ღირსსახსოვარ თარიღს ეძღვნება წერილი, რომელშიც გაშუქებულია „პეტრიწონის — შუა საუკუნეების უდიდესი სამეცნიერო-საგანმანათლებლო ცენტრის დიდი წვლილი ქართული ერის კულტურის ისტორიაში.**

# ქართული კულტურის სავანე

ქართული კულტურის საზღვარგარეთული ცენტრებიდან განსაკუთრებით საინტერესოა პეტრიწონის ანუ ბაჩკოვის სავანე, რომელიც ბულგარეთში სიდიდით მეორეა რილის მონასტრის შემდეგ, ხოლო კულტურული მნიშვნელობის მხრივ ერთი პირველთაგანი არა მარტო ბულგარეთსა და ბალკანეთში, არამედ მთელ ევროპაში.

იგი აშენებულია სოფელ ბაჩკოვში (წინათ ასე ერქვა სოფელ პეტრიწონის ერთ-ერთ საყანე ადგილს), ქ. პლოვდივიდან 28 კილომეტრზე, როდოპის ხეობის მდინარე ასენიცას (ჩეპელარსკას) მარჯვენა მხარეს.

პეტრიწონის სავანის დამაარსებელი და აღმშენებელია ბიზანტიის კეისრის ალექსი კომნენოსის კარზე გაძლიერებული დიდი ფეოდალი, დასავლეთის ჯარების მთავარსარდალი (დომესტიკოსი), XI საუკუნის ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე, ტაოელი გრიგორ ბაკურიანისძე, რომელმაც ტაძრის ასაშენებლად სპეციალურად შეარჩია ბუნების მრავალი სიკეთით უხვად შემკული თავისი კუთვნილი ადგილი პეტრიწონი. გრიგორმა თავის ძმასთან — აბასთან ერთად 1083 წელს ბულგარეთში (მაშინ იგი ბიზანტიის ფარგლებში შედიოდა) ააშენა პეტრიწონის სავანე.

იმხანად მსოფლიოს ერთ-ერთი სიგელ-გუჯრებით დაუმტკიცებია მისთვის.

1083 წელს ნორმანებთან ენერგიული ბრძოლების შემდეგ ბიზანტიაში სიმშვიდე ჩამოვარდა და გრიგოლმა გადაწყვიტა თავისი სიმდიდრე და უფლებები გამოეყენებინა და სამშობლოდან მომშორებულ კაცს სულის ხსნისათვის ეზრუნა. ამოარჩია თავის მამულში საუკეთესო სამონასტრო ადგილი სოფელ პეტრიწონში და ქართველთა მონასტერი დაარსა. მხოლოდ საკუთარი დაძმის დანაზოგი ქონება მოახმარა მონასტერს, სხვისი არა გაურეკია რა. გრიგორ ბაკურიანისძეს მონასტრისათვის შეუწირავს და დაუმტკიცებია: ფილიპოპოლის თემში მდებარე ციხე, თუ სოფლად წოდებული, პეტრიწონი „მისითა ყანებით“, ადგილი იანოვა, რომელიც მონასტრად გადაკეთდა, ადგილები: ბაჩკოვო, დობროსტანი, ბურსეოსი, ლალაკუვა და ავროვა თავიანთი მამულებით, სოფელი სტენიმახი ორი ციხით და ავარაკებით და დიდძალი ქონებით.

გრიგოლმა ქართველთა მონასტერს შეუდგინა წესდება (ტიპიკონი) და მიუთითა, როგორ ეცხოვრათ მონასტერში, როგორ აერჩიათ წინამძღვარი, ვის რა უნდა გაეკეთებინა, როგორ გაეშალათ ტაბლა, როგორ მოქცეოდნენ ავადმყოფებს, დღესასწაულებზე თუ ისე სალოცავად მოსულ სტუმრებს და სხვ.

ტიპიკონი გრიგორმა ორ ენაზე შეადგინა — ქართულად და ბერძნულად. ქართულად იმიტომ, რომ ქართველთა მონასტერში ქართველ ბერებს წელიწადში რამდენჯერმე ხმამაღლა თავიდან ბოლომდე წაეკითხათ იგი და იქ მოცემული განაწესის მიხედვით ემოქმედათ, ბერძნული კი საბერძნეთიდან ენა იყო და იურიდიული ძალაც ბერძნულ ტექსტს ეძლეოდა. ბერძნული ორ ცალად დაწერეს: ერთი ბიზანტიის დედაქალაქ კონსტანტინეპოლში შესანახად და მეორე მონასტრისათვის. გრიგოლმა როგორც ქართულ, ისე ბერძნულ ცალებს ბოლოში წეთელი მელნით ქართულად მიაწერა: „მტკიცე არიან ზემო წერილნი ესე ნებითა ღმრთისაითა“.

პეტრიწონის სავანე იმ დროს ააგეს, როდესაც ბიზანტიის ქართულ მონასტერში, განსაკუთრებულ ენაზე სამონასტრო საქმეების მამოწერისათვის.

პეტრიწონის სავანე აერთიანებს სამების, მთავარანგელოზისა და ნიკოლოზის ტაძრებს. ამათ გარდა, ცალკე დგას ფერდობზე ორსართულიანი საძვალე — აკლდამა, რომელშიც გადმოასვენა გრიგოლმა თავისი ძმის, აბასის ნეშთი.

1086 წელს პაჭანიკებთან ბრძოლაში დაღუპული გრიგოლ ბაკურიანისძის ცხედარიც იმავე საძვალეში დაკრძალეს, ძმის გვერდით.

პეტრიწონის სავანე ორსართულიანია, ციხე-სიმაგრეს ჰგავს, ქვაზოლიანი წყობით აგებული, დუღაბით ჩაბალქაშებული, ალყა-გალავნით, ელიფსური ფორმის თაღებით, ლამაზი ქარიბჰითა და სამრეკლოთი, ძალური ფორმის სათოფურ-სამზნეებლებით. მონასტრის შესასვლელში თაღქვეშ გაკეთებული ფირფიტა ბულგაროულ, რუსულ, ფრანგულ და ინგლისურ ენებზე გვაცნობს, რომ მონასტერი 1083 წელს აღაშენა ორმა ქართველმა— გრიგოლ და აბას ბაკურიანისძემ, რისთვისაც საქართველოდან 50 ქართველი მოღვაწე მიუწვეეთ. სავანეს დღემდე შემორჩენილ კინის ფილამესრიანი კარები, რომელიც მნახველთა ყურადღებას იპყრობს. ძველი შენობიდან პეტრიწონის სავანეს შემორჩა გრიგოლ ბაკურიანისძისდროინდელი ორსართულიანი საძვალე კეფრესკებიც შუა საუკუნეების ფერწერის ჩინებული ნიმუშებია.

პეტრიწონის სავანესთან არსებობდა ცნობილი სემინარია. ეს სამეცნიერო სემინარია პეტრიწონის სავანეში მოიწყო მას შემდეგ, რაც მის პირველ რექტორად დაინიშნა გამორჩენილი ქართველი ფილოსოფოსი იოანე, რომელსაც პეტრიწის მონასტრის სახელიდან პეტრიწონელი ანუ პეტრიწი ეწოდა.

1080 წელს დიდმა თურქმაამ და მისმა მომდევნო მიწისძვრამ დაანგრია საქართველოს ქალაქები, დაბები, სოფლები, ეკლესია-მონასტრები და სამონასტრო ცხოვრებას აუტანელი პირობები შეუქმნა. ამის გამო იოანე საქართველოში არ დაბრუნებულა, ბულგარეთში ქართველთა პეტრიწონის მონასტერში დამკვიდრდა და ოცი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა მსოფლიოში განთქმულ პეტრიწონის კულტურის კერას. ეს წლები იოანესათვის სამწერლო-სამეცნიერო მოღვაწეობის საუკეთესო ხანა იყო. იოანე პეტრიწს აქვს როგორც ორიგინალური შრომები, ისე თარგმანები ფილოსოფიაში, ისტორიაში, ჰიმნოგრაფიასა და მეცნიერების სხვა დარგებში.

ბულგარეთში აკადემიური მუშაობისათვის მომზადებული და ქართული ენის მცოდნე ძალები, რა თქმა უნდა, ნაკლებად იყო და ამიტომ გადაწყვიტეს გაეხსნათ მონასტერთან სემინარია, როგორც მოსამზადებელი საფეხური აკადემიებში სამეცნიერო მუშაობის გასაგრძელებლად და ღვთისმსახურების შესასწავლად. სემინარიაში ასწავლიდნენ გრამატიკას, რიტორიკას, დიალექტიკას, მუსიკას, ხატვას, ფილოსოფიას, საამკინძაო საქმეს და სხვა.

სემინარიის დამთავრებისას, ვინც მოვდლად ვერ ეკურთხებოდა, ერის კაცად რჩებოდა სამოქალაქო დაწესებულებებში, სკოლებში კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის საწარმოებლად. ეს სემინარია ამზადებდა კადრებს პეტრიწონში სამეცნიერო მუშაობისათვის. მათი საკვლევი და სასწავლო ობიექტი იყო ფილოსოფია, ისტორია, ენა (გრამატიკა), ასტრონომია, ბიბლიოგრაფია, პიიტიკა და სხვა.

ფრანგი მეცნიერი ლეი პტი პეტრიწონის მონასტერში არსებული სემინარიის შესახებ წერდა: „ჩვენ აქ გვაქვს მეტად იშვიათი, შეიძლება ერთადერთი მაგალითი ბიზანტიაში სემინარიის არსებობისა ამ სიტყვის თანამდროვე მნიშვნელობით“. აკადემიკოსი კ. კეკელიძე, ეხება რა პეტრიწონის მნიშვნელობის საკითხს ქართული მწერლობისათვის, აღნიშნავს: „პეტრიწონის მონასტერი გახდა ერთ-ერთი უმთავრესი ცენტრი მწერლობისა, განსაკუთრებით XI საუკუნეში. აქ დამუშავდა განსაკუთრებული სალიტერატურო სკოლა, რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ პეტრიწონულ სკოლას. საგანგებო ყურადღება ამ სკოლაში მიქცეული ჰქონდა განყენებულ-დოგმატიკური და ფილოსოფიური ხასიათის თხზულებათა დამუშავებას, რამაც ნიკეი შეუწყო ქართული ფილოსოფიური ენისა და ტერმინოლოგიის შექმნას“.

1106 წელს მეფე დავით აღმაშენებელმა გელათში შექმნა სალიტერატურო ცენტრი — გელათის აკადემია, სადაც სხვა ფილოსოფოსებთან ერთად უცხოეთიდან იოანე პეტრიწელიც მოუწვეეთ. პეტრიწს გელათში უთარგმნია „იოსოპოსის წიგნი ჰურიისა“. პეტრიწის თარგმანი შეიცავს ამ თხზულების მხოლოდ 15 წიგნს. 5 წიგნის თარგმანი დაკარგულია.

იოანე პეტრიწს ქართული გრამატიკის შედგენასაც მიაწერენ. ანტონ კათალიკოსი, მარი ბროსე და ა. ცაგარელი პეტრიწს გრამატიკოსად თვლიან. ეს აზრი ალბათ იმას ემყარება, რომ იოანე პეტრიწს თავის ორიგინალურ თხზულებაში („განმარტება“) ვრცელი გრამატიკული მსჯელობა მოეპოვება. პეტრიწონის სკოლის ტრადიციებს საქართველოში გელათის აკადემია აგრძელებდა.



**სურათზე: პეტრიწონის სავანის დამაარსებელნი გრიგოლ და აბას ბაკურიანისძენი. შუაში დგას ბიზანტიის იმპერატორი ალექსი კომნენოსი, რომელსაც გრიგოლთან ერთად პეტრიწონის სავანის მოდელი უჭირავს. (წმ. ნიკოლოზის ტაძრის ფრესკის ასლი).**


ᲙᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲘ

# ᲡᲐᲯᲘᲗᲮᲘᲗᲘ


ᲧᲐᲑᲐᲮᲘ

**Ვ. ᲒᲝᲒᲚᲘᲫᲘᲡ ᲛᲔᲛᲝᲠᲘᲐᲚᲘ**

# ᲛᲐᲐᲤᲠᲐᲓ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ

**ᲨᲔᲣᲐᲛᲐᲕᲐᲠᲘ** ბრძოლით აღინიშნა ვ. გოგლიძის მემორიალის სტარტი. ყაიმების რიცხვი მცირე არ არის, მაგრამ შეიმჩნევა ერთი გარემოებაც — მეტოქეები მხოლოდ მას შემდეგ დაზავდებიან ხოლმე, როცა დაფაზე აღარაფერი რჩება.

შეჯიბრებაში 4 დიდოსტატი მონაწილეობს. შათ, ასე ვთქვათ, „თავი ქუდში აქვთ“, იბრძვიან მხოლოდ მაღალი საპრიზო ადგილისათვის. აი, ცხრა საერთაშორისო ოსტატს კი, უპირველეს ყოვლისა, დიდოსტატის ბალის ნორმა აღელვებს. ჯერ კიდევ არ მოსულა ცნობა, რამდენ ქულას შეადგენს ეს ბალი (იგი ფიდემ უნდა დაადგინოს), ისე კი, საორიენტაციოდ, ვარაუდობენ 10,5 ან 11 ქულას. აი, დაახლოებით ასეთ მაჩვენებელზე უნდა იფიქრონ ჩვენმა საერთაშორისო ოსტატებმა უბილავამ, ზაიჩიკმა და სტურუამ. მათ შორის, ჯერჯერობით, ყველაზე კარგი მაჩვენებელი სტურუას აქვს, რომელიც სტარტზე დამაჯერებლად თამაშობს. ზაიჩიკი გარკვეული სიძნელეების წინაშე დგას — იგი ტურნირზე დაგვიანებით ჩამოვიდა და ახლა ზშირად ორმაგი დატვირთვა ექნება. უნგრეთში მან უკვე მოიპოვა დიდოსტატის ერთი ბადი. ახლა მისთვის ყველაფერი ვ. გოგლიძის მემორიალზეა დამოკიდებული.

ჯერჯერობით აუცილებლად უნდა გამოიყოს ერთი მონაწილე— ახალგაზრდა ვილნიუსელი ოსტატი გავრიკოვი. იგი შესანიშნავად არის მომზადებული თეორიულად და მეტოქეებს თავდადგე სერიოზული ამოცანების წინაშე აყენებს. ჩვენ გავრიკოვს ვიცნობთ, როგორც ნახა ალექსანდრიას ერთ-ერთ მწვრთნელსაც — თბილისის ჭადრაკის სასახლის სცენა, ასე ვთქვათ, მისთვის უცხო არ არის.

ყოველ საერთაშორისო ტურნირს ფიდე თავის კატეგორიას ანიჭებს ხოლმე. ვ. გოგლიძის მემორიალს მერვე კატეგორია მიეკუთვნა და ეს იმას ნიშნავს, რომ იგი მხოლოდ ოდნავ ჩამოუვარდება ფიდერაციული რესპუბლიკის ღია ჩემპიონატს (იგი მეცხრე კატეგორიისა იყო), რომელშიც მსოფლიო ჩემპიონ კარპოვთან ერთად ასე შესანიშნავად ისასპარეზა ჩვენმა თანამემამულემ თამაზ გიორგაძემ. ერთი სიტყვით, თბილისის ტრადიციულმა ტურნირმა თვალსაჩინო ადგილი დაიკავა საერთაშორისო საჭადრაკო ცხოვრებაში.

გუშინ გაიმართა მეხუთე ტური.

გურგენიძე ენერგიულად იბრძოდა მურშადთან. ბანგლადეშელი მოჭადრაკე ბევრს ეცადა გამოესწორებინა მდგომარეობა, მაგრამ ამაოდ. მურშადმა გადააცილა მოფიქრებისათვის განკუთვნილ დროს და წაგება ჩაეთვალა. კიარნერმა დაამარცხა ველიჩკოვიჩი. შეჯიბრების ლიდერი გავრიკოვი ყაიმზე შეუთანხმდა გუფელდს. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

ხუთი ტურის შემდეგ პირველ ადგილზეა გავრიკოვი, რომელსაც 3,5 ქულა აქვს. სტურუამ 3 ქულა მოაგროვა და 1 პარტია გადადო.

დღეს მორიგი მეექვსე ტურია. გავრიკოვი ეთამაშება ველიჩკოვიჩს, ხოლო სტურუა — ოლს.

**Გ. ᲑᲐᲛᲠᲔᲙᲔᲚᲘ.**

# ᲛᲔᲓᲐᲚᲘᲗ, ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲘᲗ

**ᲠᲝᲛᲨᲘ** გრძელდება ევროპის მეთექვსმეტე ჩემპიონატი წყალჯომარდობაში. 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში, როგორც მოსალოდნელი იყო, გაიმარჯვა უ. გევენიგერმა (გდრ)—2.13,07... **გაგვახარა თბილისელმა ირინე გერასიმოვამ, რომელმაც ამ დისტანციაზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა — 2.16,72. აღსანიშნავია, რომ ეს შედეგი სსრ კავშირის ახალი რეკორდი გახლავთ.**

მორიგი მატჩი სსრ კავშირის წყალბურთელებმა იუგოსლავებთან გამართეს და იგი ფრედ (8:8) დაამთავრეს. ჩვენმა სპორტსმენებმა 6 მატჩიდან უკვე 11 ქულა დააგროვეს და შეჯიბრების დამთავრებამდე ერთი ტურით აღრე ოქროს მედლებს დაეუფლნენ.


**რედაქტორის მოადგილე**
**Გ. ᲜᲐᲛᲧᲔᲚᲘᲐ.**


**საქართველოს სსრ საშინაო მასალათა მრეწველობის სამინისტრო, საშინაო მასალათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი და „ორგტექსაშენმასალები“ ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა „ორგტექსაშენმასალების“ მთავარი ინჟინერი**

**ᲓᲐᲕᲘᲗ (ᲓᲝᲚᲝ) ᲖᲘᲜᲝᲑᲘᲡ ᲫᲔ ᲙᲐᲚᲐᲜᲓᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ**

**და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

## ᲙᲔᲗᲘᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲙᲐᲠᲒ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲖᲔ

**ᲛᲐᲓᲚᲘ** — ამ სიტყვას სულხან-საბა ორბელიანი ასე განმარტავს: ესე არს რომელმან არცა ნაცვლისგებისათვის, არცა მოყორობისათვის, არცა შიშისათვის, არცა სიყურულისათვის კეთილი და ქველის საქმე ქმნას.

ჩემს შობლიურ სქურიას მრავალშვილიანთა საუფლოსაც უწოდებდნენ. აქაურთაგან ბევრს ჰყავდა რვა, ცხრა, ათი, მეტი შვილი. ფუქის სიყვარულთან და შრომასთან ერთად ეს სქურიის ბარაქიანი მიწის, წყალანკარა წყაროების მადლიცაა, იტყოდნენ ხოლმე. მრავალი შვილი, ოჯახში აკვნის დარწევა ყველას ეამაყებოდა, ესახელებოდა. თანაც წესად ჰქონდათ ერთმანეთის დახმარება. დიდთოვლიანი ზამთარი იდგა, ჩვენს მეზობლებს, თორმეტი შვილის შობლებს, საქონელი ეზარალათ. მამამ მაკე უშობელს ბაზარი გამოაბა და მე წკნელი ხელში დამაკავებინა. წინ მამაჩემი, უკან— მე. მივსდიეთ და „ლომურის“ ფერდობი ისე ავიარეთ, დაღლა არ გვიგრძნია. ჭიშკარში რომ შევედით, ბავშვები გაკვირვებით შემოგვეხვივნენ. მათ უკან, თვალზე ხელის მოჩრდილვით, მოსდევდა ოჯახის უფროსი.

— გაუჭირვებელი არავინ ყოფილა, ანდრო ჩემო. ეს უშობელი მიჩუქნია, გიმრავლოს, ერთმანეთის იმედი არ მოგვეშალოს, — უთხრა მამაჩემმა და დაბნეული პირუტყვი, თვალებს უცნო ეზოში რომ აბრიალებდა, გადაულოცა და ბაზარი გადასცა დიდი მადლობითა და ლოცვა-კურთხევით. შინ რომ ვბრუნდებოდით, მამამ მითხრა — კაცს რომ გაუჭირდება, ხელი მიაშველე, მადლის ქმნა სასიკეთოდ წინ დაგხვდებაო.

გზის პირას რცხილნარში გამართულ სამჭედლოში ანდრია მჭედელი ბევრ სასიკეთო საქმეს უკეთებდა სოფელს. ცულს, ნაჯახს, თოხს კოტტად პირს გაუწყობდა, სალესს, ღრმად ამოთლილ წყლით სავსე დიდ ძელზე რომ იყო შორგებული, ჩვენ გვაბრუნებინებდა, თვითონ კი მარჯვედ მიუდგებოდა, კარგად აელესავდა და თავმომწონედ იტყოდა: „ხვარასანია, ხვარასანი, ნახეთ როგორ ჭრისო“.

მახსოვს, სახლში კარდალას ძირი გაუცვდა, ანდრია მჭედელს მიუტანე, დაავგრილტებსო, — მითხრეს შინ. მეც მივუტანე, სპილენძის თხელი ფურცელი გადაკრა, მითხრა, ხვავრიელი ოჯახი გაქვთ, ხვავრიელი, საზღაურს არ ავიღებ, სიკეთეში მოიხმარეთო.

სქურიის ჭალაში ჩაღგმულ პატარა წისქვილში მოხუცი ლუკა ბაბუა ტრიალებდა, სიმინდს რომ დაგვიფქვავდა, ხვიმირში ბოლო მარცვალსაც არ ჩატოვებდა, ასე გვეტყოდა, ბარაქიანებო, თქვენი საფქვავიდან მინდს აბა როგორ ავიღებ, ღვთის მადლი არ მოგალებოდეთო.

ჩემს მამისეულ ფუძეზე ვიზრდებოდით ოთხი ძმა, სამი და, ერთიც ადრე დაობლებული ბიძაშვილი მარიამი. იგი პატარაობიდან ჩვენთან იყო. დედა და მამა მეტ პატივს მას მიაგებდნენ, მორიდება არ იქონიოს, გული არ დაუსაწყლდესო. ხუთი შვილის დედა გახდა მერე მარიამი, ოთხი შერჩა, მათგან დღეს სამი ინჟინერი ვაჟი და ერთიც ექიმი ქალიშვილია, ყველა დოჯახებულია. მოვა ხოლმე სქურიაში და მადლიერებით იტყვის: ამ ფუძის მადლია, რომ შვილებით და შვილიშვილებით სავსე ვარო.

შუაცეცხლთან, გრძელ ტაბლაზე დედა საქმელს რომ ჩამოარიგებდა, ბოლოს ყველაზე დიდს დაადგებდა, ვიცოდით, ეს „ესუკის კერძი“ იყო. ცხოვრობდა სოფელში ბედისაგან დაჩაგრული ერთი ქალი, ხან ერთ, ხან მეორე ოჯახში რომ ათევდა. მის კერძს ყველა ოჯახი გამოყოფდა. იტყოდნენ მადლია, სანთელ-საკმეველი თავის გზას ჯერ დაკარგავსო.

დედა ფეხთ იკლებდა, ტანთ იკლებდა, რა ვქნა, თუ ზოგიერთებივით მორთული არა ვარ, მე ვიკლებ, აბა, შვილების ცოდვაში ხომ არ ჩავვარდებიო. საგარეო ერთი-ორი ხელი ტანსაცმელი მეც მაბადია, ნაირ-ნაირს არ ვეპატიჟნებიო. განა ამის გამო ვინმემ პატივი არ უნდა მომაგოსო? ხდებოდა ისეც, რომ ხან ეს არ გვყოფნიდა, ხან ის. გული რომ შეეშინერვებოდა, ერთად დაგვსხამდა, ჩონგურს ლარებს აუწყობდა;

— ჩემი ჩონგური მტრედსა ჰგავს, ღუღუნებს როგორც მტრედი. ხან ვმღერით, ხანაც მოვიწყენთ, ჩვენ ასეთი გვაქვს ბედი. ოჯახს შვილები მიმშვენებს, გულს — სიხარული თანაც, ახლა დავსხდეთ და ვიმღეროთ ნანინა, სქეა, ნანა...

გაზეთებში, ჟურნალებში საინტერესო წერილები იბეჭდება, ტელევიზიითა და რადიოთი ხშირად გადმოსცემენ მრავალშვილიან ოჯახებზე, მათთვის სახელმწიფოს დიდ ზრუნვაზე, ჩვენი საყვარელი მამულიშვილები —მწერლები, ინჟინრები, მედიკოსები, სხვანი გამოთქვამენ კეთილ სურვილებს, საინტერესო მოსაზრებებს ერის გამრავლების პრობლემურ საკითხებზე, თან ფასდამამიდას წყალობაა. ვინ იცის, ვინ არ შეაწუხა —მინისტრი, დეპუტატი. ჩვეული გულთამდობა და სიმარჯვე გამოიჩინა ამ საშვილიშვილო საქმეში რაიკომის პირველმა მდივანმა ვახტანგ ესვანჯიამ. სოფელი არ ივიწყებს ამ სიკეთეს. ახლა ამ გზას „მერის გზას“ ეძახიან. ლოცავენ, ვინც ეს კარგი საქმე ითავა.

ჩვენს ქალაქში კარგად იცნობენ ინჟინერ კუკური ევანიას ოჯახს. მისი მეუღლე, ზაირა თავის დროზე საქველით, სილამაზით განთქმული ქალბატონის ელისაბედ ბედია-ჟანტურიას შვილიშვილია. ელისაბედის სურათი ახლაც ბევრ ოჯახში აქვთ, როგორც სიკეთის გაუხუნარი რელიკვია. იგონებენ, სულმნათი აკაკი რომ სენაკში ჩამოვიდოდა, ამ ოჯახში იმართებოდა მგოსნის პატივსაცემი წვეულება.

სახელოვანი ბებიას სული გამოჰყვათო, იტყვიან ახლა, როცა შეიტყობენ, რომ მისი ოჯახი მრავალშვილიანია, სასარგებლო საქმეს აკეთებს.

ჩვენს ქალაქში ახლაც შრომობს 80 წელს მიღწეული მანდილოსანი, მედიცინის და ოლია გვასალია. იგი თავის დროზე საქველმოქმედო მიზნისათვის „ალეგრობის“ მოწყობის ერთ-ერთი ინიციატორი ყოფილა. შემოსული თანხა მრავალშვილიან ოჯახებს ხმარდებოდა.

— აბა, დღეს ვის შია და ვის სწყურია, სამადლო და სამოწყალო სოფელში ვინ არის, სახელმწიფოა დიდი მზრუნველი, მაგრამ შვილმრავალ ოჯახებს ჩვენი ყურადღებაც უნდა, — ამბობს ოლია.

ჩვენი რაიონული გაზეთის რედაქციაში ახლახან გამართულ მრგვალ მაგიდასთან, რომელიც შვილების აღზრდის პრობლემებს მიეძღვნა და რომელსაც საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები დაესწრნენ, გამოითქვა აზრი: ქალთა რაიონულმა საბჭომ ითავოს და მოაწყოს იმის ორგანიზაცია, რომ საზოგადოებრიობამ განსაკუთრებული ყურადღება და გულისხმიერება გამოიჩინოს მრავალშვილიანებისადმი.

მადლი ქენი, წინ დაგხვდებაო.

**Ბ. ᲨᲔᲜᲒᲔᲚᲘᲐ,**
**გაზეთ „კოლხეთის“ რედაქტორის მოადგილე.**

ქ. ᲪᲮᲐᲙᲐᲘᲐ.

# ᲛᲐᲓᲚᲘ ᲰᲥᲔᲜ!

## ᲐᲠᲓᲐᲓᲔᲒᲔᲑᲘ ᲛᲘᲘᲬᲣᲠᲐ

**ᲛᲘᲘᲬᲣᲠᲐ აგვისტო, საზაფხულო არდადეგებთან დამშვიდობების ჟამი დგება. რამდენ კეთილ სახსოვარს, რამდენ ტკბილ მოგონებას უტოვებს იგი ჩვენს ყმაწვილებს! სიხარულით გაიხსენებენ ზღვაზე გატარებულ ზაფხულის დღეებს ისინიც, წლეულს პირველად რომ ეზიარენ აფროსნობის ახალ წარმტაც სახეობას — ვინდსერფინგს. თავიანთი სპორტული სექციის ხელმძღვანელის ვიქტორ ვოდოლაჟჩენკოს ზრუნვითა და ამაგით სოხუმელმა ნორჩმა სპორტსმენებმა უკვე მოიპოვეს პირველი კარგი შედეგები. ვინდსერფინგს შავი ზღვისპირეთში მათი სახით ერთგული მიმდევრები გამოუჩნდნენ.**

**სურათებზე: ნორჩი სპორტსმენები წვრთნისას; ვ. ვოდოლაჟჩენკო მეცადინეობაზე.**

**მ. ᲙᲕᲘᲠᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ფოტო.**

## ᲛᲮᲐᲢᲒᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲡᲜᲝᲨᲘ

# ᲥᲔᲑᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲐᲜᲑᲐᲜᲘᲡᲐ



**ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘᲐ** ქართველმა გრაფიკოსმა, საქართველოს სსრ დამსახურებულმა მხატვარმა ოთარ ჯიშკარიანმა ხანგრძლივი შემოქმედებითი მუშაობის შედეგად თავისი სანუკვარი ჩანაფიქრი განახორციელა. — შექმნა ქართული დამწერლობის განვითარების მხატვრული კომპოზიციები, რომელსაც „ანბანთქება“ უწოდა. დიდი რუდუნებით მოძიებულმა და შეგროვილმა მასალებმა, მხატვრულმა ალღომ შემოქმედს უზადოდ შეასრულებინა „ანბანთქების“ 36 მხატვრული ტილო, რომელსაც საზოგადოებრიობა უახლოეს ხანს, გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისადმი მიძღვნილ რესპუბლიკურ გამოფენაზე იხილავს.

კომპოზიციები უაღრესად საინტერესო და ორიგინალურია. აქ ქართული ასო-ნიშნების განვითარების ისტორია მხატვრული საშუალებებით აისახა. ყოველ ასო-ნიშანს თითო გვერდი ეთმობა. მკითხველი ქართული დამწერლობის სამივე გრაფიკულ ნაირსახეობას ეცნობა — „მრგლოვანს“, „ნუსხურსა“ და „მხედრულს“ (ხელნაწერებში დაცული ვარიანტებითურთ).

ასო-ნიშნების გრაფიკა დიდი ოსტატობით არის შესრულებული და გრაფიკული ხელოვნების ჭეშმარიტ ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს.

მხატვარს დიდი გემოვნებით ჩაუფიქრებია ყოველი კომპოზიცია. თითოეულ ასო-ნიშანზე მოცემულია მისი რიგითი ნომერი და რიცხვითი მნიშვნელობა. ყოველ ასო-ნიშანზე, აუცილებლად არის დასახელებული ქართული კულტურის ძეგლები, საქართველოში გავრცელებულ ცხოველთა და ფრინველთა სახელები, მცენარე, მდინარე, ქართული სოფლისა და ქალაქის სახელწოდებანი. მოყვანილია ქართული ხალხური ანდაზები, რუსთაველის აფორიზმები, პროზისა და პოეზიის ნიმუშები. თითოეული კომპოზიცია შვიდი-რვა ნახატით არის შესრულებული. ერთი სიტყვით, მკითხველები ეზიარებიან უზარმაზარ სამყაროს, რომელშიც ნთლად იკვეთება ქართული ენის ბუნება.

მაგალითისათვის ავიღოთ „ანბანთქების“ პირველი გვერდი. პირველი მრგლოვანი ანუ მთავრული ასო-ნიშნის ზუსტი გრაფიკული მოხაზულობა მკითხველს აცნობს, რომ ასო-ნიშანი მთავარის გამოხატულებაა. აქვე გამოსახულია ნამგალა მთვარე. ასო-ნიშნის სხვადასხვა ვარიაციები უფრო პატარა ზომებით არის გამოხატული და ერთად არის თავმოყრილი. მთავრული ასო-ნიშნის ქვემოთ გამოსახულია დიდი ზომის მხედრული ასო-ნიშანი, რაც მთავრული ასო-ნიშნის კიდევ ერთი განმარტებაა. აქვეა მოცემული მისი რიცხვითი მნიშვნელობა და კალენდარული დანიშნულება.

„ანბანთქების“, რომლის მოხატვასაც ხელოვანმა ორ წელზე მეტი მოანდომა, მალე ალბომის სახით გამოუშვებს გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“. გამომცემლობას განზრახული აქვს აღნიშნული ნაშრომი დაბეჭდოს უცხოეთში, მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე. ალბომი უთუოდ დიდ სამსახურს გაუწევს ქართულ დამწერლობას, ქართველ ხალხს და იმათ, ვინც დაინტერესებულია ქართული კულტურით.

**Რ. ᲛᲣᲮᲘᲒᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.**



## ᲤᲘᲚᲐᲠᲛᲝᲜᲘᲐ

**28 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ**

### ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ

**პირველი პროგრამა.** 9.00 — „ვრემია“. 9.45 — „წყაროები“. 10.30 — „მაღვიძარა“. 11.00 — ვემსახურები საბჭოთა კავშირს. 12.00 — ჯანმრთელობა. 12.45 — „დილის ფოსტა“. 13.15 — შეხვედრები საბჭოეთში. 13.30 — სოფლის საათი. 14.30 — მუსიკალური კიოსკი. 15.00 — ფილმი — ბავშვებს. „ვაშა! ჩვენ არდადეგები გვაქვს!“ 16.15 — დღეს მეშახტის დღეა. მონაწილეობს სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის მინისტრი ბ. თ. ბრატჩენკო. 16.10 — ახალი ამბები. 16.45 — კონცერტი მეშახტეთა შეკვეთით. 17.30 — მოგზაურთა კლუბი. 18.30 — მულტფილმი. 19.00 — საერთაშორისო პანორამა. 19.45 — „კინოს სამახსოვრო ფურცლები“. კინოკონცერტი. 20.35 — მხატვრული ფილმი „წინ, საფრანგეთი!“. 22.00 — „ვრემია“. 22.35 — პოკეი. ევროპის ჩემპიონთა თასი. ცსკა — ფინეთის „კაპარა“. მე-2 და მე-3 პერიოდი. 23.45 — საფეხბურთო მიმოხილვა. 00.15 — კალათბურთი. ი. გაგარინის სახელობის ტურნირი. საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრები გუნდები. 00.45 — ახალი ამბები.

**მეორე პროგრამა.** 9.00 — დილის ვარჯიში. 9.20 — კინოურნალი „შენებლობა და არქიტექტურა“. 9.30 — სტადიონი ყველასათვის. 10.00 — დოკუმენტური ფილმი მეშახტის დღის გამო. 11.00 — ძველებური მუსიკის კონცერტი. 11.15 — „დოკუმენტური ეკრანი“. 12.25 — ცხოველთა სამყაროში. 13.25 — ევროპის ჩემპიონატი წყალჯომარდობაში. 14.00 — კონცერტი. 14.30 — ტელემაყურებლებს უპასუხებს მე-9 სტუდია. გადაცემაში მონაწილეობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო ინფორმაციის განყოფილების გამგე ლ. მ. ზამიატინი. 15.30 — შორეული და ახლობელი სიმღერა. 16.20 — გვიამბობენ ჩვენი კორესპონდენტები. 16.50 — მხატვრული ტელეფილმი „სინდიკატ-2“. მე-2 სერია. 18.00 — ფეხბურთი. ცსკა — „მახტიორი“. 19.45 — ერმიტაჟი. მე-12 ფილმი „მცირე ჰოლანდიელთა“ ფერწერა“. 20.15 — მსოფლიო ჩემპიონატი ველოსპორტში. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!“. 21.15 — საერთაშორისო შეჯიბრება მხატვრულ ტანვარჯიშში. 22.00 — „ვრემია“. 22.35